

## 2016 წ. სამოქმედო გეგმა

სრატეგიული მიზანი 1. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში			
შუალედური მიზანი: 1.1. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა			
ამოცანა: 1.1.1 მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება			
დაგეგმილი ღონისძიებები	გაზომვადი ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა
1.1.1.1. დაბადების ან პირადობის მოწმობების გაცემა მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფებისათვის	გაცემული დოკუმენტაციის სახეობა/ტიპი და რაოდენობა	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო)	წლის განმავლობაში
1.1.1.2 მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების სწავლების უზრუნველყოფა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - დაწყებით ეტაპზე. (უდიური, ჩეჩნური, ქურთული ენა-კურმანჯის დიალექტი, ხუნძური, ასურული, ოსური)	სკოლების რაოდენობა სადაც დაინერგა აღნიშნული ენების სწავლება;  მოსწავლეთა რაოდენობა რომლებიც სწავლობენ მშობლიურ ენას	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	წლის განმავლობაში
შუალედური მიზანი: 1.2 გენდერული მენისტრიმინგი			
ამოცანა: 1.2.1 გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა			
დაგეგმილი ღონისძიებები	გაზომვადი ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა
1.2.1.1. ქვემო ქართლის რეგიონში (მარნეული, რუსთავი, გარდაბანი) არსებული „ქალთა ოთახების“ 1.2.1.2. პროექტის ფარგლებში უმცირესობა ქალების ჩართვა (ტრენინგები, სემინარები, საინფორმაციო კამპანია, სამეწარმეო საქმიანობის სწავლება)	რამდენ პროექტში მიიღეს მონაწილეობა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ქალებმა; ქალთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივების რაოდენობა; სოციალურ საწარმოში დასაქმებულ უმცირესობა ქალთა რაოდენობა	„ქალთა ოთახების პროექტი“ რუსთავის, მარნეულის და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში;  ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია	წლის განმავლობაში
1.2.1.3.	მომზადებულ პირთა შორის	სსიპ შსს აკადემია	წლის განმავლობაში

სასწავლო პროგრამები და ტრენინგები გენდერულ თემატიკაზე მათ შორის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი თანამშრომლებისათვის	ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა;		
<b>1.2.1.4</b> საინფორმაციო შეხვედრები გენდერული თანასწორობის თემატიკაზე ეთნიკურ ჯგუფებთან: სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, უკრაინელები, რუსები	საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (მინ. 10 წარმომადგენელი თითო თემიდან)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	წლის განმავლობაში
<b>1.2.1.5</b> მოკლევადიანი ტრენინგი სამეწარმეო საქმიანობაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისათვის	ტრენინგების საერთო რაოდენობა, მონაწილე ქალთა რაოდენობა	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>1.2.1.6.</b> კონფერენცია „გენდერული პრობლემები საზოგადოებაში და მათი მოგვარების გზები“	კონფერენციის ანგარიში და მასში უმცირესობების პრობლემატიკის ასახვა; კონფერენციის მიერ მიღებული რეკომენდაციები; კონფერენციაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების რაოდენობა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	წლის განმავლობაში
<b>1.2.1.7</b> ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის	მონაწილეთა რაოდენობა (დაახლოებით 25 მონაწილე)	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	მაისი 2016
<b>1.2.1.8</b> ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში „გენდერული ოთახების“ საქმიანობის ხელშეწყობა	„გენდერული ოთახების“ შეხვედრების რაოდენობა; მუნიციპალიტეტების რაოდენობა სადაც ამოქმედდა „გენდერული ოთახები“	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია	წლის განმავლობაში
<b>1.2.1.9</b> ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) სსიპ თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლების მიერ გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებში ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო	ჩატარდება სამი შეხვედრა (ქვემო ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში). მინ. 50 ადამიანი თითო შეხვედრაზე	სსიპ დ. აღმაშენებლის სახ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, ადგილობრივი თვითმმართველობების მონაწილეობით (ახალციხე,	ივნისი სექტემბერი 2016

შეხვედრები უმცირესობის წარმომადგენლებისათვის		მარნეული, ახმეტა)	
<b>1.2.1.10</b> ბიუჯეტის პროექტში გენდერული თანასწორობის მიმართულებით ღონისძიებების გათვალისწინება	საკრებულოს მიერ გენდერული თანასწორობის მიმართულებით მერიისათვის გადაგზავნილი რეკომენდაციების რაოდენობა; დამტკიცებულ ბიუჯეტში გენდერული თანასწორობაზე ორიენტირებული ღონისძიებების რაოდენობა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;  ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	ნოემბერი - დეკემბერი 2016
<b>შუალედური მიზანი: 1.3 სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის</b>			
ამოცანა: 1.3.1 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არ მცოდნე მოქალაქეებისათვის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმნაში ხელშეწყობა-საჭიროებისამებრ			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>1.3.1.1.</b> სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეების მხრიდან საჯარო დაწესებულებისათვის წარსადგენი არასახელმწიფო ენაზე შედგენილი განცხადებებისა და დოკუმენტების თარგმნის ხელშეწყობა	სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეების მხრიდან წარმოდგენილი განცხადებების რაოდენობა; თარგმნილი განცხადებების რაოდენობა	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია	წლის განმავლობაში
<b>1.3.1.2.</b> ეთნიკური უმცირესობებისათვის გასაგებ ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესის თარგმნა და გავრცელება	ნათარგმნი მასალების რაოდენობა; რეგიონები სადაც გავრცელდა აღნიშნული მასალები	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	წლის განმავლობაში
ამოცანა: 1.3.2 ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაუმჯობესება სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციაში			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>1.3.2.1</b> სათათბირო საბჭოს შექმნა რეგიონული რწმუნებულის ადმინისტრაციაში ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემემატიკის შესახებ. საბჭოში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები (გამგებლები ყველა მუნიციპალიტეტიდან და უმცირესობები	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (მინიმუმ 2 თითო რეგიონში); მონაწილეთა რაოდენობა (მინიმუმ 20 მონაწილე თითო შეხვედრაზე); მიღებული გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების რაოდენობა;	ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;  კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;	მაისი- დეკემბერი

	შემდეგი წლის ბიუჯეტში ან საპროგრამო პრიორიტეტებში უმცირესობების საჭიროებების ასახვა.		
<b>1.3.2.2</b> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს პერიოდული შეხვედრები	ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობა; განხილული საკითხების ნუსხა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	წლის განმავლობაში
<b>1.3.2.3</b> საინფორმაციო სახის შეხვედრა მოსახლეობასთან ევროინტეგრაციის თემაზე	მონაწილეთა რაოდენობა; ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;	
<b>1.3.2.4</b> შეხვედრა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობის მიზნით/ეთნიკური უმცირესობების უფლებების საკითხებზე	მონაწილეთა რაოდენობა; ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;	წლის განმავლობაში
<b>1.3.2.5</b> ცნობიერების ამაღლება /საინფორმაციო შეხვედრები განათლების საკითხებზე	მონაწილეთა რაოდენობა; ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შსს პოლიციის აკადემია, დ. აღმასენებლის სახ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; გამოცდემის ეროვნული ცენტრი	წლის განმავლობაში
<b>ამოცანა: 1.3.3 საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის</b>			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>1.3.3.1</b> მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების თარგმნა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე	ნათარგმნი ბროშურების რაოდენობა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	წლის განმავლობაში

<b>1.3.3.2</b> ნათარგმნი ბროშურების პენიტენციალური დაწესებულებების ადმინისტრაციებისათვის გადაცემა	პენიტენციალური დაწესებულებების რაოდენობა სადაც დარიგდა ბროშურები	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>1.3.3.3</b> პრობაციენერთა უფლებების და მოვალეობების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების თარგმა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე	სომხურ ენაზე - 1000 ეგზემპლარი, აზერბაიჯანულ ენაზე - 1200 ეგზემპლარი.	სსიპ პრობაციის სააგენტო	2016 წლის მეორე კვარტალში
<b>1.3.3.4</b> პრობაციონერთა უფლებების და მოვალეობების შესახებ ნათარგმნი ბროშურების გადაცემა პრობაციის ბიუროებისათვის	ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს გადაეცემა 1200 აზერბაიჯანულენოვანი და 200 სომხურენოვანი საინფორმაციო ბუკლეტი; სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიუროს გადაეცემა 800 სომხურენოვანი საინფორმაციო ბუკლეტი.	სსიპ პრობაციის სააგენტო	2016 წლის მეორე კვარტალში
<b>1.3.3.5</b> ქ. ბათუმში მოქმედი ეთნიკური ორგანიზაციებისათვის მუნიციპალური პროგრამების შესახებ პრეზენტაციების მოწყობა და ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე არსებული სახელმწიფო პროგრამების მიწოდება	ეთნიკურ უმცირესობათა მიერ მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მონაცემები; ჩატარებული პრეზენტაციების რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	წლის განმავლობაში
<b>1.3.3.6</b> ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრები შსს-ს სერვისების გაცნობის მიზნით	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	წლის განმავლობაში
<b>1.3.3.7</b> არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის, მართლწესრიგის და უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლება საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის. (ექსკურსიები და საინფორმაციო შეხვედრები)	ღონისძიებაში ჩართული არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა; ჩატარებული ექსკურსიების რაოდენობა	შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	წლის განმავლობაში
<b>1.3.3.8</b> საგზაო უსაფრთხოების წესების პოპულარიზაცია საჯარო სკოლებში (ნახატების და ესეების კონკურსები საგზაო მოძრაობის წესების შესახებ)	კონკურსებში არაქართულენოვანი სკოლების მონაცემები	შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	წლის განმავლობაში
<b>ამოცანა: 1.3.4. საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაზრდა და პროფესიული განვითარება</b>			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>1.3.4.1</b>	ჩარიცხული სტაჟიორების	საქართველოს იუსტიციის	წლის განმავლობაში

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მდებარე საზოგადოებრივ ცენტრებში პერიოდული სტაჟირების პროგრამის გამოცხადება ამ რეგიონებში მცხოვრები სახელმწიფო ენის მცოდნე ახალგაზრდებისათვის	რაოდენობა; რეგიონები, სადაც განხორციელდა სტაჟიორთა მიღება; სტაჟირების ხანგრძლივობა; სტაჟიორთა საქმიანობა;	სამინისტრო (სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო)	
<b>1.3.4.2</b> სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში სტაჟირების პროგრამის გამოცხადება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის	ჩარიცხული სტაჟიორების რაოდენობა; სტაჟიორთა საქმიანობა; სამისტროს რეზერვში უმცირესობათა აღრიცხვა	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>1.3.4.3</b> სტაჟირების პროგრამა საკრებულოში, მერიაში და გამგეობებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამამთავრებელი კურსის, წარჩინებული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისათვის	მიღებულ სტაჟიორებს შორის ეროვნულ უმცირესობათა მაჩვენებლები	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;  ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მისი სამსახურები	წლის განმავლობაში
<b>1.3.4.4</b> „პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში“ კურსი ისწავლება სსიპ შსს აკადემიაში ( მიმდინარე სასწავლო პროგრამების/კურსების ფარგლებში)	კურსდამთავრებული ეროვნული უმცირესობების რაოდენობა	სსიპ შსს აკადემია	წლის განმავლობაში
<b>შუალედური მიზანი: 1.4 ეთნიკური უმცირესობათა მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში</b>			
<b>ამოცანა: 1.4.1 ეთნიკური უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების უზრუნველყოფა</b>			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>1.4.1.1</b> საარჩევნო პროცედურების ამსახველი პოსტერის, საუბნო საარჩევნო კომისიის სახელმძღვანელოს და სხვა საარჩევნო დოკუმენტაციის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა	სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი მასალების რაოდენობა	ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო)	სექტემბერი-ოქტომბერი 2016
<b>1.4.1.2</b> არჩევნებისთვის მომზადებული ცესკოს საინფორმაციო-სარეკლამო რგოლების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, თარგმნა და რეგიონულ ტელევიზიებში გამოქვეყნება	სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გავრცელებული ვიდეო რგოლების რაოდენობა	ეთხოვოს ცესკოს	სექტემბერი - ოქტომბერი 2016

<b>1.4.1.3</b> მცირე გრანტების გაცემა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უმცირესობათა თემებისათვის - არჩევნების მნიშვნელობისა შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით	დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების (უმცირესობათა თემებისათვის) რაოდენობა/ბიუჯეტი	ეთხოვოს ცესკოს; ცესკოსთან არსებულ სწავლების ცენტრს	წლის განმავლობაში
<b>1.4.1.4</b> ეთნიკური უმცირესობებს მიკუთვნებული საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა (საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრების) მომზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით	გადამზადებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა	ეთხოვოს ცესკოს; ცესკოსთან არსებულ სწავლების ცენტრს	ოქტომბერი 2016
<b>1.4.1.5</b> თბილისის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში ეროვნული უმცირესობების ჩართვა	უმცირესობების რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს განხილვებში; დამტკიცებულ ბიუჯეტში უმცირესობათა საჭიროებები და სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	ნოემბერი - დეკემბერი 2016
<b>1.4.1.6</b> სამხარეო ადმინისტრაციაში შეხვედრები საჯარო სექტორში დასაქმების მსურველი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის	მონაწილეთა რაოდენობა; შეხვედრების რაოდენობა	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია	წლის განმავლობაში
<b>შუალედური მიზანი: 1.5 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება</b>			
<b>ამოცანა: 1.5.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</b>			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>1.5.1.1</b> პენიტენციურ დაწესებულებებში ეროვნული უმცირესობებისათვის გასაგებ ენაზე არსებული უცხოენოვანი ჟურნალ-გაზეთების მიწოდება	დაწესებულებების შესაბამისად გადანაწილებული ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა;	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>1.5.1.2</b> ეთნიკური უმცირესობებისათვის გასაგები უცხოენოვანი	უზრუნველყოფილი უცხოენოვანი არხების	საქართველოს სასჯელაღსრულების და	წლის განმავლობაში

სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობის ტექნიკური უზრუნველყოფა	რაოდენობა	პრობაციის სამინისტრო	
<b>1.5.1.3</b> ყოველდღიური ტელე და რადიო ეთერით საინფორმაციო გადაცემა - სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, აფხაზურ და რუსულ ენებზე	გადაცემის ყურებადობა, სოციოლოგიური გამოკითხვა	საზოგადოებრივი მაუწყებელი	წლის განმავლობაში
<b>1.5.1.4</b> რადიო თავისუფლების სატელევიზიო პროექტი “Настоящее время”, რომელიც რუსულ ენაზე აშუქებს როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის საქართველოში მცხოვრები უმცირესობების პრობლემატიკას	გადაცემის ყურებადობა, სოციოლოგიური გამოკითხვა	რადიო „თავისუფლება“ საზოგადოებრივი მაუწყებელთან თანამშრომლობით (ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქცია)	წლის განმავლობაში
<b>1.5.1.5</b> ყოველდღიური რადიო გადაცემა „ჩვენი საქართველო“	ინტერაქტივი	საზოგადოებრივი მაუწყებელი (რადიო 1)	მარტი - ივნისი 2016
<b>შუალედური მიზანი: 1.6 ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა</b>			
ამოცანა: 1.6.1 „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესრულება და „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპული ქარტიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>1.6.1.1</b> საინფორმაციო კამპანია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის გაცნობის მიზნით როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციებთან თანამშრომლობით	წლის განმავლობაში
ამოცანა: 1.6.2 საჯარო მოსამსახურეთა და ეთნიკურ უმცირესობათა სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სფეროში			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>1.6.2.1</b> ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება კულტურული მრავალფეროვნების შესახებ	საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილე მსჯავრდებულთა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და	წლის განმავლობაში



საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით	რაოდენობა	პრობაციის სამინისტრო	
<b>1.6.2.2</b> განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად საჭირო ინფრასტრუქტურის („თეთრი ოთახების“) მოწყობა	მოწყობილი „თეთრი ოთახების“ რაოდენობა პენიტენციურ დაწესებულებებში	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>1.6.2.3</b> სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების გზით შემდეგ საკითხებში: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები და მათთან მოპყრობის სპეციფიკა	გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	წლის განმავლობაში
<b>1.6.2.4</b> რეგიონებში საჯარო მოსამსახურეებისათვის ტრენინგის ჩატარება ეთნიკური უმცირესობების უფლებების და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი	წლის განმავლობაში
<b>1.6.2.5</b> საჯარო მოსამსახურეთა უზრუნველყოფა ტრენინგებით და მასალებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით	ჩატარებული ტრენინგების და დარიგებული მასალების რაოდენობა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	წლის განმავლობაში
<b>სტრატეგიული მიზანი 2: თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა</b>			
<b>შუალედური მიზანი: 2.1. სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა</b>			
ამოცანა: 2.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
დაგეგმილი ღონისძიებები	გაზომვადი ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა

<p><b>2.1.1.1</b> სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გზამკვლევის შემუშავება და გავრცელება (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე</p>	<p>მომზადებული და გავრცელებული მასალის რაოდენობა</p>	<p>სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>წლის მანძილზე</p>
<p><b>2.1.1.2</b> მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშწყობის პროექტის რუსულენოვანი საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება და გავრცელება (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი))</p>	<p>მომზადებული და გავრცელებული მასალის რაოდენობა</p>	<p>ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>თებერვალი 2016</p>
<p><b>2.1.1.3</b> რუსთავში განხორციელდება 8 ინფრასტრუქტურული პროექტი</p>	<p><b>2.1.1.4 – 2.1.1.15</b> <b>განხორციელებული პროექტები</b></p>	<p>საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო</p>	<p>წლის განმავლობაში</p>
<p><b>2.1.1.4</b> ბოლნისში განხორციელდება 7 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</p>		<p>საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო</p>	<p>წლის განმავლობაში</p>
<p><b>2.1.1.5</b> გარდაბანში განხორციელდება 18 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</p>		<p>საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო</p>	<p>წლის განმავლობაში</p>
<p><b>2.1.1.6</b> დმანისში განხორციელდება 3 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</p>		<p>საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო</p>	<p>წლის განმავლობაში</p>
<p><b>2.1.1.7</b> თეთრიწყაროში განხორციელდება 8 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</p>		<p>საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო</p>	<p>წლის განმავლობაში</p>
<p><b>2.1.1.8</b> მარნეულში განხორციელდება 6 ინფრასტრუქტურული პროექტი ; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</p>		<p>საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო</p>	<p>წლის განმავლობაში</p>

<b>2.1.1.9</b> წალკაში განხორციელდება 3 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>2.1.1.10</b> ახალციხეში განხორციელდება 14 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>2.1.1.11</b> ახალქალაქში განხორციელდება 6 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>2.1.1.12</b> ნინოწმინდაში განხორციელდება 3 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>2.1.1.13</b> ახმეტაში განხორციელდება 9 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>2.1.1.14</b> ლაგოდეხში განხორციელდება 8 ინფრასტრუქტურული პროექტი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>2.1.1.15</b> რეგიონული პროექტები: ინფრასტრუქტურული პროექტები; ჯანდაცვის პროგრამები; სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება; განათლების და კულტურის პროგრამები; სოციალურად დაუცველ და ობოლ ბავშვთა სწავლის საფასურის გადახდა; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; პირველი ჯგუფის ინვალიდების დახმარება; არასრულწლოვან ინვალიდთა დახმარება; ომის ვეტერანთა დახმარება	რეგიონულ პროექტებში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის მაჩვენებლები და ბენეფიციართა რაოდენობა	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია	წლის განმავლობაში
<b>ამოცანა: 2.1.2 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა</b>			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>

<b>2.1.2.1</b> შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული აქტუალური სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების (რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე) მომზადება-გავრცელება უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი)	მომზადებული/გავრცელებული მასალების რაოდენობა	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>2.1.2.2</b> „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ საინფორმაციო მასალის (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) გავრცელება უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი)	გავრცელებული მასალების რაოდენობა; მუნიციპალიტეტების რაოდენობა	სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	წლის განმავლობაში
<b>2.1.2.3</b> ქ. ბათუმში მოქმედ დიასპორების წარმომადგენლებისათვის სოციალური სერვისებისა და მუნიციპალური პროგრამების შესახებ პრეზენტაციის მოწყობა	ეთნიკურ უმცირესობათა მიერ მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მონაცემები, ბენეფიციართა რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მარტი 2016

**სტრატეგიული მიზანი 3: ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება**

**შუალედური მიზანი: 3.1 სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის**

**ამოცანა: 3.1.1 სკოლამდელი განათლების პროგრამის შემუშავება, სასწავლო რესურსების მოძიების შექმნა, აღზრდელ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადება**

დაგეგმილი ღონისძიებები	გაზომვადი ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა
<b>3.1.1.1</b> სასკოლო მზაობის კურიკულუმის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დანერგვის საფუძვლის მომზადება.	მომზადებულია რესურსები, რომლებიც სასკოლო მზაობის კურიკულუმის დანერგვის საფუძველს ქმნის.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2016 წლის დეკემბერი
<b>3.1.1.2</b> ახალი ბაღების მშენებლობა კახეთის რეგიონში	აშენებული 2 ახალი ბაღი (დუმასტური და წინუბანი)	კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია	წლის განმავლობაში
<b>3.1.1.3</b>	რეაბილიტირებული ბაღები	სამცხე-ჯავახეთის რეგიონის	წლის განმავლობაში

არსებული ბალების რეაბილიტაცია სამცხე ჯავახეთში	(ბალების რაოდენობა და ადგილმდებარეობა)	მუნიციპალიტეტების გამგეობები	
<b>შუალედური მიზანი: 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე</b>			
ამოცანა: 3.2.1 ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება-განვითარება ხარისხიანი ორენოვანი განათლების დანერგვის ხელშესაწყობად			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
<b>3.2.1.1</b> ეროვნული სასწავლო გეგმის ენობრივი განათლების კონცეფციის შემუშავება	შემუშავებულია კონცეფცია (ანგარიშში იქნება აღწერილი იქნენა კონცეფციის დეტალები)	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>3.2.1.2</b> სომხური და აზერბაიჯანული ენების სასწავლო გეგმის შემუშავება	მომზადებულია და დამტკიცებულია დაწყებითი საფეხურის სასწავლო გეგმა სომხური და აზერბაიჯანული ენებისათვის, რაც ამ ენებში მშობლიური ენის ხარისხიანი სახელმძღვანელოების შექმნის საფუძველს იძლევა.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>3.2.1.3</b> ესგ-ს რევიზიის ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურების სტანდარტებისა და პროგრამების რევიზიის ფარგლებში კულტურული მრავალფეროვნებასა და ტოლერანტიბასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა.	რევიზიის შედეგად საგნობრივ სასწავლო გეგმებში ასახულია კულტურული მრავალფეროვნებასა და ტოლერანტიბასთან დაკავშირებული საკითხები.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	წლის განმავლობაში

<p><b>3.2.1.4</b></p> <p>გრიფირების პროცესში ისეთი მექანიზმების ამუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმძღვანელოებში სტერეოტიპული და დისკრიმინაციული ელემენტების აღმოფხვრას და ეთნიკურ, კულტურულ მრავალფეროვნების ასახვას.</p>	<p>სასკოლო სახელმძღვანელოებში ასახულია საქართველოში არსებული მრავალფეროვნება, ისინი თავისუფალია სტერეოტიპული და დისკრიმინაციული ელემენტებისგან და შეესაბამება კულტურულად მგრძობიარე სწავლების პრინციპებს</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>2016-2017 წწ.</p>
<p><b>3.2.1.5</b></p> <p>საბაზო საფეხურის კლასებში განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი არაქართულენოვან საჯარო სკოლებში.</p>	<p>შექმნილია მონაცემთა ბაზა, მომზადებულია ანგარიში და რეკომენდაციები, რომლებიც უფრო მკაფიოდ და ზუსტად დაანახვენს სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულ უწყებსა და ორგანიზაციებს პრობლემებსა და გადასადგმელ ნაბიჯებს</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>წლის განმავლობაში</p>
<p><b>3.2.1.6</b></p> <p>სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის - „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა“ განხორციელება მიუსაფარი ბავშვებისთვის (მათი დიდი უმრავლესობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია, მაგ: ბოშა, აზერბაიჯანელი და ა.შ.)</p>	<p>სახელმწიფო ტენდერით ამ სერვისის განხორციელებისათვის შერჩეულია ორგანიზაცია და მის მიერ წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოს ანგარიში.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>2016 წლის იანვარი-დეკემბერი</p>
<p><b>3.2.1.7</b></p> <p>ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარება სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე</p>	<p>მონაწილეთა რაოდენობა</p>	<p>სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგნობრივი</p>	<p>ოქტომბერი 2015 - მარტი 2016</p>

2016 წლის სამოქმედო გეგმა/14გვერდი

		ჯგუფები/ლოჯისტიკის ჯგუფი	
<b>3.2.1.8</b> სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე	ანგარიში ასახავს, სკოლების რაოდენობას და ასევე ჩატარებული გამოცდების შედეგებს	სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგნობრივი ჯგუფები, საინფორმაციო ტექნოლოგიური დეპარტამენტი, ლოჯისტიკის სამსახური, ადმინისტრაცია.	მაისი- ივნისი 2016
<b>3.2.1.9</b> არაქართულენოვან მსჯავრდებულთა ჩართვა ქართული ენის შემსწავლელ 2 თვიან სასწავლო კურსებში	ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	წლის განმავლობაში
<b>ამოცანა: 3.2.2 არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა</b>			
<b>დაგეგმილი ღონისძიებები</b>	<b>გაზომვადი ინდიკატორები</b>	<b>პასუხისმგებელი უწყება</b>	<b>შესრულების ვადა</b>
